პრეზიდენტ დიტერ უხთდორფის მიერ
პირველი პრეზიდენტობის მეორე მრჩეველი

შობას ვეძიოთ ქრისტე

Ყველას, ვისაც გსურთ, გაიგოთ, ვინ ვართ ჩვენ, უკანასკნელ დღეთა წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიის წევრები, გთავაზობთ ამ სამ სიტყვას: ჩვენ ვეძიებთ ქრისტეს.

ჩვენ ვეძიებთ, შევიტყოთ მის შესახებ. მის კვალზე ვიაროთ. მეტად დავემსგასოთ მას.

ჩვენ ყოველ დღე ვეძიებთ მას. განსაკუთრებით წელიწადის ამ დროს - შობას, როცა აღვნიშნავთ ჩვენი საყვარელი მხსნელის შობას, ჩვენი გულები უფრო მეტად იხრება მისკენ.

საშობაო ზეიმისთვის მზადებისას, მოდით განვიხილოთ, როგორ მოემზადნენ ისინი, ვინც ორი ათასი წლის წინ ცხოვრობდნენ, მხსნელის შესახვედრად.

მწყემსები

ჩვენ არ ვიცით ბევრი რამ მწყემსების შესახებ, მხოლოდ ის, რომ ისინი „მინდორში იყვნენ და ღამით თვალყურს ადევნებდნენ ცხვარს“.[1] მწყემსები სულ უბრალო ადამიანები იყვნენ, ისეთივე საქები ადამიანები, როგორებიც მრავლად არიან და ყოველდღიურ საშოვარზე ფიქრობენ.

ისინი შეიძლება ყოფილიყვნენ იმ ადამიანთა წარმომადგენლები, რომლებიც აქტიურად არ ეძებდნენ ეკლესიას, მაგამ გული შეეცვალათ, როცა ზეცა გაიხსნა და ქრისტემ უქადაგა მათ.

ესენი არიან, რომლებმაც მას შემდეგ, რაც გაიგონეს ზეციური მაცნეების ხმა, უმალვე წავიდნენ ბეთლემში სანახავად.[2]

მოგვები

მოგვები იყვნენ ნასწავლი ადამიანები, რომლებმაც შეისწავლეს ღვთის შვილის, მესიის, მოსვლა. იმ ცოდნაზე დაყრდნობით, მათ ამოიცნეს ნიშნები, რომლებიც უფლის შობას მიუთითებდა. როცა მათ ისინი ამოიცნეს, მიატოვეს სახლები და გაემგზავრნენ იერუსალიმში კითხვით: სად არის ის, იუდეველთა ახლადშობილი მეფე“?[3]

მათი ცოდნა ქრისტეს შესახებ არ იყო მხოლოდ თეორიული. როცა მათ იხილეს მისი შობის ნიშნები, უმოქმედოდ არ დარჩენილან. მათ გადაწყვიტეს ქრისტეს პოვნა.

მოგვები წარმოადგენენ მათ, ვინც ეძიებს ქრისტეს სწავლითა და აკადემიური სწავლების გზით. მათი ჭეშარიტების მიმართ ერთგულება უბიძგებს მათ ქრისტეს პოვნისკენ და თაყვანისცემისკენ, როგორც მეფეთა მეფის და კაცობრიობის მხსნელისა.[4]

სიმონი და ანა

სიმონი და ანა შეიძლება წარმოადგენდნენ მათ, ვინც ეძიებს ქრისტეს სულიწმინდის მეშვეობით. ეს საოცარი სულები რელიგიის ერთგულნი იყვნენ და

ლოცვისა და მარხვის საშუალებით ერთგული და მორჩილი ცხოვრებით, მოუთმენლად ელოდებოდნენ ღვთის ძის მოსვლას.

ერთგულებით, თავმდაბლობით, რწენით ისინი მოთმინებით ელოდნენ მხსნელის მოსვლას.

ბოლოს, მათი ერთგულება დაფასდა, როცა მარიამმა და იოსებმა აჩვენეს მათ ჩვილი, რომელიც ერთ დრეს საკუთარ თავზე აიღებდა კაცობრიობის ცოდვებს.[5]

მორწმუნეები ნეფიელთა და ლამანიელებთა შორის

მორმონის წიგნში ვპოულობთ გულისამაჩუყებელ ისტორიას იმაზე, თუ როგორ უყურებდნენ მხსნელის დაბადების ნიშნებს მორწმუნეები ახალ კონტინენტზე.

თქვენ გახსოვთ, რომ მათ, ვისაც ქრისტე სწამდათ, დასცინოდნენ და დევნიდნენ. იმ დროინდელი სწავლულები ადანაშაულებდნენ მორწმუნეებს სულელურ ცრურწმენებში. ფაქტიურად, ურწმუნოები იმდენად ხმამაღლა დასცინოდნენ სხვებს, რომ გამოიწვიეს „დიდი ხმაური იმ მიწაზე (3 ნეფი 1:7). ისინი აბუჩად იგდებდნენ მათ, ვისაც სწამდათ რომ ქრისტე დაიბადებოდა.

მათი წყრომა ისე გაიზარდა, რომ ისინი შეიპყრო იდეამ, ერთხელ და სამუდამოდ გაეჩუმებინათ ისინი, ვისაც ქრისტე სწამდა. მორმონის წიგნში მოიპოვება ეს დრამატული გადაწყვეტილება.[6]

იმ დროინდელი მორწმუნეები შეიძლება წარმოადგენდნენ მათ, ვინც ეძიებდნენ ქრისტეს მაშინაც კი, როცა სხვები იცინოდნენ, დასცინოდნენ და მასხარად იგდებდნენ მათ. ისინი ეძებდნენ ქრისტეს მაშინაც კი, როცა სხვები ცდილობდნენ მათ წარმოჩენას, როგორც არამეგობრულ, უსწავლელ და მიამიტ ადამიანებად.

მაგრამ სხვების არაფრად ჩაგდებამ არ გაუტეხა გული ჭეშმარიტ მორწმუნეებს ქრისტეს ძიებაში.

ჩვენ ვეძიებთ ქრისტეს

წლის განმავლობაში და ალბათ განსაკუთრებით შობის დროს, კარგი იქნება, თუ კიდევ ერთხელ ვკითხავთ საკუთარ თავს: „როგორ ვეძიებ ქრისტეს“?

დიადი მეფე დავითი, ცხოვრების მძიმე ჟამს, წერდა: „შენ ხარ ჩემი ღმერთი . სწყურიხარ ჩემს სულს . შენზე ნაღვლობს ჩემი სული“.[7]

იქნებ ღმერთის ძიების განწყობა იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ დავითი აღწერეს, როგორც ღმერთის რჩეული კაცი.[8]

ამ შობის დროს და მთელი წლის განმავლობაში, დაე, მთელი სულითა და გულით ვეძიოთ ჩვენს საყვარელ მხსნელს, სიმშვიდის მეფეს, ისრაელის წმინდას. ზუსტად ამ სურვილის გამო ჩვენ აღვიქმებით როგორც არა მხოლოდ უკანასკნელ დღეთა წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიის წმინდანები, არამედ უფრო როგორც ქრისტეს მოწაფეები.

შენიშვნები

1. Luke 2:8.
2 იხ. ლუკა 2:15.
3. იხ. მათე 2:1-2.
4. იხილეთ მათე 2:11.
5. იხ. ლუკა 2:22–38.
6. იხ 3ნეფი 1.
7. ფსალმუნები 63:1.
8. იხილეთ საქმეები 13:22.

ამ გზავნილის სწავლება

როგორ შეიძლება უკეთ ვეძიოთ ქრისტე, როგორც ამას გვირჩევს პრეზიდენტი უხთდორფი? შეგიძლიათ შეაგულიანოთ ისინი, ვისაც ასწავლით, ჰკითხონ საკუთარ თავს: „როგორ ვეძიებ ქრისტეს“? მოიწვიეთ ისინი, გაგიზიარონ, როგორ ეძიებენ ისინი ქრისტეს მათი წმინდა წერილის შესწავლისას. შეგიძლიათ ასევე უყუროთ *Mormon.org* საშობაო ვიდეოს მათთან ერთად, ვისაც ასწავლით და მოიწვიოთ ისინი, მიიღონ მონაწილეობა ამ ყოველწლიურ მოვლენაში, ეძიონ ქრისტე მისი სწავლებების განხორციელების გზით.

ბავშვები

იესოს მოლოდინში

მრავალი ადამიანი ელოდა იესოს შობას. ახლა ჩვენ ველით მის მეორედ მოსვლას. ჩვენ შეგვიძლია მოვემზადოთ საამისოდ იესოს შეცნობით და მის კვალზე სიარულით. როგორ მივყვებით იესოს? თქვენ როგორ მიყვებით იესოს?

© 2017 by Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/17.
თარგმანი დამტკიცებულია: 6/17. თარგმანი *First Presidency Message, December 2017.* Georgian. 97932 131

ერთმანეთის ტვირთის ზიდვა

ლოცვისეული განწყობით შეისწავლეთ ეს მასალა და ეძიეთ გაიგოთ, რა უნდა გაუზიაროთ სხვებს. როგორ მოამზადებს მოწყალების საზოგადოების მიზნის გააზრება ღვთის ასულთ, მარადიული ცხოვრების დალოცვებისთვის?

რწმენა • ოჯახი • მოწყალება

„ჩვენ გარშემო იმყოფებიან ადამიანები, რომლებიც საჭიროებენ ჩვენს ყურადღებას, შეგულიენებას, თანადგომას, ნუგეშსა და სიკეთეს“, - თქვა პრეზიდენტმა თომას ს. მონსონმა. „ჩვენ აქ, დედამიწაზე, წარმოვადგენთ უფლის ხელებს და გვაქვს დავალება - ვემსახუროთ ყოველ მის შვილს და ავამაღლოთ ისინი. იგი ყოველ ჩვენგანზეა დამოკიდებული“.[1]

პრეზიდენტმა ჰენრი ბ. აირინგმა, პირველი პრეზიდენტობის პირველმა მრჩეველმა თქვა: „თქვენს გულში დაიწყო დიდი ცვლილება მაშინ, როცა ეკლესიაში მოხვედით. თქვენ დადეთ აღთქმა და მიიღეთ დაპირება, რამაც თქვენი არსის შეცვლა დაიწყო. . . .

“. . . თქვენ პირობა დადეთ, რომ დაეხმარებოდით უფალს, შეგემსუბუქებინათ [სხვების] ტვირთი და გენუგეშებინათ ისინი. თქვენ მოგეცათ ძალა,შეგემსუბუქებინათ სხვების ტვირთი, როცა მიიღეთ სულიწინდის ძრვენი“.[2]

„ჩვენ გვინდა, გამოვიყენოთ სახარების სინათლე იმისთვის, რომ დავინახოთ სხვები ისეთნი, როგორადაც მათ მხსნელი ხედავს - თანაგრძნობით, იმედითა და მოწყალებით“ - თქვა ჯინ ბ. ბინგჰამმმა, მოწყალების საზოგადოების გენერალურმა პრეზიდენტმა. „მოვა დღე, როცა მივიღებთ სხვების გულების სრულ გაგებას და ვიქნებით მადლიერნი იმისთვის, რომ ჩვენზეც გავრცელდება წყალობა - ისევე, როგორც ჩვენ ვუგზავნით სხვებს მოწყალების სიტყვებსა და აზრებს. . . .

„ჩვენი ვალდებულება და უპირატესობაა - მივიღოთ ცვლილებები უკეთესობისკენ *ყოველ ადამიანში* მაშინ, როცა ჩვენ ვცდილობთ, უფრო დავემსგავსოთ მხსნელს“.[3]

როცა ჩვენ ერთმანეთის ტვირთს ვატარებთ და ვიცავთ აღთქმებს, ჩვენ ვუხსნით იესო ქრისტეს გზას სხვების განსაკურნებლად. უხუცესი ჯეფრი რ. ჰოლანდი თორმეტ მოციქულთა ქვორუმიდან გვასწავლიდა: „იმის გათვალისწინებით, რომ უფალმა ჯვარცმისა და გამოსყიდვისთვის ასეთი ფასი გადაიხადა, მე გპირდებით, რომ იგი ახლა არ გვაქცევს ზურგს. როცა იგი ეუბნება სულით ღარიბთ: „მოდით ჩემთან“, იგი გულისხმობს, რომ მან იცის გზა იქიდან და ზემოთ. მან იცის ეს, რადგან თავად გამოირა იგი. მან იცის გზა, რადგან იგი თავად *არის* გზა“.[4]

დამატებითი მასალები წმინდა წერილიდან

მათე 25:40; გალატელთა 6:2; მოსია 2:17; 18:8-9

შენიშვნები

1. თომას ს. მონსონი, „ემსახურე უფალს სიყვარულით“, *ლიახონა*, თებ. 2014, 4.
2. Henry B. Eyring, “The Comforter,” *Liahona,* მაისი 2015, 18.
3. ჯინ ბ. ბინგჰამი, “I Will Bring the Light of the Gospel into My Home,” *Liahona,* Nov. 2016, 6, 8.
4. ჯეფრი რ. ჰოლანდი “Broken Things to Mend,” *Liahona,* მაისი, 2006 წ., 71.

განიხილეთ შემდეგი

ერთმანეთის ტვირთის ტარებითა და აღთქმების დაცვით როგორ ვუხსნით იესო ქრისტეს გზას სხვების განსაკურნებლად?

© 2017 by Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/17.
თარგმანი დამტკიცებულია: 6/17. თარგმანი *Visiting Teaching Message, December 2017.* Georgian. 97932 131